შ.პ.ს "ლ ი ლ ე ო"

LTD "L I L E O"

04. 06. 2014 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ.თბილისი, ქუჩა სამტრედია №50, საკადასტრო კოდით №01.13.05.001.063.03.01.005 მოქალაქე ფრიდონ კუტალაძის კუთვნილებაში არსებულ ბინის ფართზე დაშენების განხორციელების შესაძლებლობის შესახებ

თბილისი

2014 წელი

შინაარსი

ქ.თბილისი, ქუჩა სამტრედია №50, მოქალაქე ფრიდონ კუტალაძის თხოვნის საფუძველზე დაგვევალა შემოწმება ჩაგვეტარებინა მის კუთვნილ ფართში მზიდუნარიან კონსტრუქციულ ელემენტებზე, ვინაიდან გათვალისწინებული საპროექტო სამუშაოებით არ მოხდეს კონსტრუქციული სქემის დარღვევა და დამაზიანებელი ფაქტორების წარმოქმნა.

აღნიშნული შენობა მრავალბინიანი საცხოვრებელი დანიშნულების კორპუსია. შენობის კონსტრუქციული საანგარიშო სქემა წარმოდგენილი შემდეგი სახით: საძირკველი ლენტური ტიპისაა და წარმოდგენს რკინა-ბეტონის ბალიშებით შეკრულ კონსტრუქციულ საანგარიშო სქემას, მზიდი კონსტრუქცია მონოლითური რკინა-ბეტონისა კარკასია, რომელიც იყოფა ბლოკებად. სართულშუა გადახურვები მოწყობილია ორმაგად არმირებული ფილებით, შემავსებელი ელემენტები კედლები აშენებულია სტანდარტული წვრილმარცვლოვანი სამშენებლო ბლოკის წყობით. აღნიშნული კონსტრუქციული მდგომარეობის შესწავლიდან გამომდენარე დგნიდება რომ შენობა მდგრადობისა და საიმედოობის პირობის კუთხით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ აღინიშნება მასზე ავარიული წარმოშობის ბზარები, ჯდენითი მოვლენები და დეფორმაციების კვალი.

საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებულია მოქალაქე ფრიდონ კუტალაძის ღია ტერასის ფართზე დაშენება. კონსტრუქციული მახასითებელების მიხედვით შემაფერხებელი გარემოება არ აღინიშნება, ვინაიდან არ ხდება რაიმე სახის მზიდი ელემენტების დაზიანება და ზედმეტი არასასურველი დატვირთვების წარმოქმნა.

დასკვნა

ჩვენს მიერ შესწავლილი შენობის მზიდი დანიშნულების ელემენტების კონსტრუქციული მდგომარეობა აღნიშნულ საპროექტო სამუშაოებთან მიმართებაში აკმაყოფილებს სამშენებლო ნორმებსა და წესებს, რის საფუძველზეც საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით გათვალისწინებული სამუშაოები ექვემდებარება განხორციელებას და იერსახეში მოყვანას.

დირექტორი: ა. ყურაშვილი

კონსტრუქტორ-ექსპერტი:

